შპს ბანი13 BANI13 LTD

საქართველო, თბილისი, წყალსადენის ქ №18, ტელ: +995 322 65 47 98, 599 26 11 77

email: b.vashakidze@ekogaz.ge

Tskalsadenistr. 18Tbilisi, Georgia, tel: +995 322 65 47 98; 599 26 11 77

№ 01/04

24 04 2020წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

შეზღუდული პასუხისმგებელი საზოგადოება „ბანი 13" –ის (ს/კ 404980213)

დირექტორის ბ-ნი ვლადიმერ პატარიძის

ელ. ფოსტა. suxo51@yahoo.com

ტ. 599 26-11-77; 555 85-20-20 (ლევანი).

სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გთხოვთ, აღნიშნული განცხადების საფუძველზე შეწყვიტოთ წარმოება ჩვენს მიერ 2020 წლის 25 მარტის #08/03 წერილით წარმოდგენილ განცხადებაზე და ჩვენი მოთხოვნა განიხილოთ აღნიშნულ წერილში მითითებული განახლებული გარემოებების საფუძველზე, კერძოდ: გაცნობებთ, რომ **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბანი 13"-ს (ყოფილი შპს „მეთე", ს/კ 405058510), ქ. თბილისში, დავით აღმაშენებელის ხეივნი N50 (ყოფილი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივნის N2-სა და N4-ს შორის;) მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.72.14.034.073,** გააჩნია ავტოგასამართი სადგური, რომელშიც ავტომობილების გამართვა ხორციელდება როგორც თხევადი საწვავით (ბენზინი, დიზელის საწვავი), ასევე ბუნებრივი აირით. მოგახსენებთ, რომ 2014 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შეთანხმებულ იქნა ბუნებრივი გაზით ავტოგასამართი სადგურის მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში რის მიხედვითაც ხდებოდა გაზგასამართ სადგურზე ბუნებრივი გაზის რეალიზაცია. 2016 წელს ჩვენს მიერ მოხდა აღნიშნული ობიექტის რეკონსტრუქცია რის მიხედვითაც ობიექტზე დაემატა თხევადი საწვავის (ბენზინის

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 6408
24 04 2020
2/10 ფ.
+ 02 +

და დიზელის) 3 ერთეული მიწისქვეშა რეზერვუარი და 3 ერთეული 8 შლანგიანი მარიგებელი სვეტი და 2016 წლის 15 ივნისს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შეთანხმებულ იქნა ავტოგასამართი სადგურის (ბენზინი, დიზ. საწვავის და ბუნებრივი აირის) მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში (გაცნობებთ, რომ ბუნებრივი გაზით ავტოგასამართი სადგურის ტექნიკური ანგარიში შეთასხმებულ იქნა შ.პ.ს. „ბანი 13"-ის სახელით, ხოლო შემდგომში ავტოგასამართი სადგურის (ბენზინი, დიზ. საწვავის და ბუნებრივი აირის) ტექნიკური ანგარიში შეთანხმდა შ.პ.ს. „მეთე"-ს სახელით. შ.პ.ს. „ბანი 13" იყო შ.პ.ს. „მეთე"-ს მესაკუთრე და 100%-იანი წილის მფლობელი და 2016 წლის 7 სექტემბერს შ.პ.ს. „მეთე" შეერწყა შ.პ.ს. „ბანი 13'-ს).

ავტოგასამართი სადგური (GPS კოორდინატში X=480730.00; Y=4624230.00), რომელშიც წლიურად გათვალისწინებული იყო 36500000 მ³ ბუნებრივი აირით ავტომობილების გამართვა, 5475000 ლიტრი წელიწადში ბენზინით, 10950000 ლიტრი წელიწადში დიზელის საწვავით.

აღნიშნულ ავტოგასამართ სადგურში თხევადი საწვავის მიღება-გაცემისათვის გააჩნია სამი ცალი, თითეული 20 მ³ მოცულობის მიწისქვეშა რეზერვუარები.

ავტოგასამართ სადგურზე რეკონსტრუქციის შემდგომ დაიგეგმა თხევადი საწვავის საცავების დაემატოს ერთი ცალი 16 მ³ მოცულობის მიწისქვეშა რეზერვუარი. ასევე ავტოგასამართ სადგურში დაიგეგმა დამატებით გათხევადებული აირით ავტომობილების გამართვა, რისთვისათვის დაიდგმება 10 მ³ მოცულობის მიწისზედა რეზერვუარი თავისი გასამართი სვეტით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შპს „ბანი 13" ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, რომელიც ამავე კოდექსისი მე-2 დანართის 6.3 პუნქტის თანახმად (ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობადა ექსპლუატაცია) ექვემდებარება სკრინინგის პროცედურების გავლას, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: სკრინინგის ანგარიში

დირექტორი

ვლადიმერ პატარიძე